რეცენზია
BRIEF REVIEWS

ნოდარ ბახტაძე, ვაჟა მამიაშვილი, ბაჩანა გაბეხაძე და ჯიმშერ ჩხვიმიანი. ნაქალაქარ ნეკრესის უძველესი ქრისტიანული ტაძრები. თბილისი: 2020, 216 გვ.

ნეკრესის ანტიკური ნაქალაქარი, რომელიც ყვარლის მუნიციპალიტეტში მდებარეობს, კარგადაა ცნობილი როგორც ძველი ქართული საისტორიო („მოქცევაჲ ქართლისაჲ", „მეფეთა ცხოვრება", „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა") და ჰაგიოგრაფიული წყაროებიდან („აბიბოს ნეკრესელის მარტვილობა", „შიოს და ევაგრეს ცხოვრება"), ასევე სხვა ისტორიული საბუთებიდან.

ქართული წყაროების თანახმად, ქალაქი ნეკრესი მეფე ფარნაჯომმა ძვ. წ. II საუკუნეში ააშენა. ახ. წ. III საუკუნის ბოლოს მისი ზღუდეები გაამაგრა პირველი ქრისტიანი მეფის, მირიანის მამამძუძემ, მირვანოზმა. ხოლო IV ს-ის 60-იან წლებში აქ პირველი ეკლესია აუშენებია მეფე თრდატს, მირიანის შვილიშვილს. V–VI საუკუნეებში ქალაქი ქართლისა და სპარსეთის და, შესაბამისად, ქრისტიანობისა და მაზდეანობის დაპირისპირების არენაა. ნეკრესში საქალაქო ცხოვრება თემურ-ლენგის ხანაში შეწყდა, მაგრამ იქ აგრძელებდა ფუნქციონირებას საეპისკოპოსო ცენტრი და ნეკრესის მონასტერი.

გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან, ნაქალაქარის ტერიტორიაზე არქეოლოგიურ გათხრებს აწარმოებდა ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ექსპედიცია აკად. ლ. ჭილაშვილის ხელმძღვანელობით, ხოლო 2004 წლიდან ექსპედიციას ხელმძღვანელობს პროფ. ნ. ბახტაძე. წინამდებარე მონოგრაფიის ავტორებიც სწორედ ამ ექსპედიციის წევრები არიან.

წიგნი შედგება შესავლისა და ოთხი თავისგან, ერთვის ტაბულები და მათი აღწერილობა, ბიბლიოგრაფია და გეოგრაფიულ და საკუთარ სახელთა საძიებელი. შესავალში მიმოხილულია ნეკრესთან დაკავშირებული ისტორიული წყაროები, ნაქალაქარის არქეოლოგიური კვლევის ისტორია და დასახულია მონოგრაფიის მიზანი.

საქმე ისაა, რომ ქართულ ხელოვნებათმცოდნეობაში XX ს-ის პირველი ნახევრიდან დამკვიდრდა აზრი, თითქოსდა ადრექრისტიანულ ხანაში, IV საუკუნიდან მოყოლებული V–VI სს-ების მიჯნამდე, საქართველოში ბაზილიკას მიმსგავსებული, მინიატურული ზომის ეკლესიები იგებოდა, რომლებსაც ადგილობრივი ოსტატები ზეპირი აღწერის საფუძველზე აშენებდნენ. ამ თეორიის ავტორის (გ. ჩუბინაშვილი) თანახმად, ქრისტიანობის პირველი ორი საუკუნის განმავლობაში, ქართლის სამეფოს მოსახლეობა იმდენად შიშითა და უნდობლობით ეკიდებოდა ახალ რელიგიას, რომ ეკლესიაში წირვისას მხოლოდ სასულიერო პირები შედიოდნენ, ხოლო მრევლი შენობის გარეთ იდგა და, პრაქტიკულად, ლიტურგიაში მონაწილეობას არც იღებდა. აქედან გამომდინარე, დიდი და მოცულობითი ტაძრების აგების საჭიროება იმხანად არც მდგარა. თეორიის ავტორისა და მისი მიმდევრების თანახმად, ამ მოსაზრების დამადასტურებელი იყო (სხვა რამდენიმესთან ერთად) ნეკრესის მონასტერში მდგარი ერთ-ერთი მცირე ზომის სამლოცველო. გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან ამ საკითხზე მწვავე დისკუსიები გაიმართა. მკვლევართა ერთმა ნაწილმა (ზ. კიკნაძე, თ. მირზაშვილი, ბ. მჭედლიშვილი) არ გაიზიარა ეს თეორია და ქართულ საისტორიო წყაროთა და, ძირითადად, ადრექრისტიანული ხანის სატაძრო ხუროთმოძღვრების ზოგადი ისტორიის საფუძველზე ამტკიცებდა, რომ შეუძლებელი იყო, ქართლის ქრისტიანული არქიტექტურა მის საწყის ეტაპზევე მჭიდროდ არ ყოფილიყო დაკავშირებული რომის იმპერიასთან და იქ ახლად შემუშავებულ სატაძრო არქიტექტურის კანონიკასთან. ნ. ბახტაძისა და მის თანაავტორთა წიგნის უმთავრესი მიზანიც სწორედ ის გახლდათ, რომ განეხილა ნეკრესის ნაქალაქარის ადრექრისტიანული ტაძრები, მათი არქიტექტურა და არქეოლოგიური კვლევით მოპოვებული მასალები, რომლებიც პრაქტიკულად, ამტკიცებენ ზემოთ მოყვანილ ზოგად მსჯელობას.

მონოგრაფიის პირველი თავი ეძღვნება ნეკრესის მონასტრის ტერიტორიაზე მდებარე უჩვეულო აღნაგობის, მცირე მემორიალურ სამლოცველოს (რომელიც გ. ჩუბინაშვილის თეორიის „ეტალონად“ იყო აღიარებული) არქეოლოგიურ-ხუროთმოძღვრულ კვლევას. აქ, 2009 წელს, ნ. ბახტაძის ხელმძღვანელობით ჩატარებულმა სრულფასოვანმა არქეოლოგიურმა კვლევამ სამლოცველოს ცენტრალური და ჩრდილოეთის ნაწილის იატაკის ქვეშ სოციალურად დაწინაურებული საერო პირების დასაკრძალავი ხუთი აკლდამა გამოავლინა, ხოლო ჩრდილოეთის კიდის სარდაფში კი მონასტერში მოღვაწე ბერების საძვალე-კრიპტა. აკლდამების გათხრის შედეგად თვალნათლივ გამოჩნდა: სამლოცველოს კედლები და საკურთხეველიც (აფსიდიანი ნა-

წილი), აკლდამებსა და კრიპტაზეა დაშენებული, თანაც მნიშვნელოვნად აცდენილად, რაც იმას ნიშნავს, რომ თავად სამლოცველო მათზე თუნდაც ოდნავ გვიანაა დაშენებული, სამარხ კამერებში დაკრძალულ პირთა ხსოვნისთვის. საძვალეებში აღმოჩენილი არტეფაქტები (ძირითადად, კერამიკული მასალა და ტანსაცმლის აქსესუარები) VI–VII საუკუნეებით თარიღდება, რაც იმის თქმის საფუძველს იძლევა, რომ მასზე დაშენებული სამლოცველო უფრო ადრეული ხანისა ვერ იქნება. შესაბამისად, მას ვერც IV საუკუნეში მეფე თრდატის მიერ ნეკრესში აშენებულ ეკლესიად მივიჩნევდით და ეს ნაგებობა უშუალოდ ნაქალაქარ ნეკრესის რომელიმე უბანში იყო საძიებელი და არა მიმდებარე მთაზე, წერილობითი წყაროების მიხედვით VI საუკუნეში დაარსებულ მონასტერში.

მეორე თავში განხილულია ჭაბუკაურის სატაძრო კომპლექსი, რომელიც ნეკრესის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ 1998–2006 და 2015–2019 წლებში გამოავლინა ნაქალაქარის ცენტრალურ ნაწილში. კომპლექსი სამნავიანი ბაზილიკური ტიპის ტაძრისგან, მინაშენი ეკლესიისგან (№3) და მიმდებარე სამლოცველოსგან (№2) შედგება. ბაზილიკა კირქვის ფლეთილი ქვებითა და ალაგ-ალაგ შირიმის ქვებით არის ნაგები. ტაძრის სივრცეს ორ მწკრივად განლაგებული ხუთი წყვილი სვეტი სამ ნავად ჰყოფდა, რომლის ცენტრალური ნავის აღმოსავლეთით მართკუთხა გეგმის საკურთხეველია მოწყობილი. მის ქვეშ ასევე მართკუთხა მოხაზულობის კრიპტა ყოფილა დატანებული. კრიპტის იატაკის დონეზე აღმოჩნდა ოთხფეხიანი ტრაპეზის მაგიდის ალებასტრისგან დამზადებული, ტოლმკლავა ჯვრის რელიეფურ გამოსახულებიანი კაპიტელების ფრაგმენტი, რომლის მსგავსი კარგად არის ცნობილი IV–V სს-ების ბიზანტიური ეკლესიებიდან. ასევე, ბაზილიკის ნავების ხის კონსტრუქციაზე კრამიტიანი გადახურვაც IV–V სს-ების რომაულ-ბიზანტიური სამყაროს ბაზილიკებისთვის დამახასიათებელი ტრადიციით არის ნასაზრდოები. აქამდე მიჩნეული იყო, რომ საქართველოში აგებული უძველესი ბაზილიკების გადასახურად ხის კონსტრუქციები სრულიად არ გამოიყენებოდა და ისინი ქვითკირის კამარებითა და მათზე განლაგებული კრამიტებით იხურებოდა. ჭაბუკაურის ბაზილიკით პირველად დადასტურდა საქართველოში მართკუთხა საკურთხევლიანი გეგმარების ეკლესია. ესეც მიანიშნებს იმაზე, რომ ის IV–V სს-ების ჩრდ.-დას. სირიასა და წმინდა მიწაზე (უფრო იშვიათად მესოპოტამიასა და ეგვიპტეში) აგებული ეკლესიების ანალოგია. მოგვიანებით, VI ს-ის შემდგომ, მართკუთხა საკურთხევლები უცხო გახდა როგორც წინა აზიის, ასევე ქართული სატაძრო ხუროთმოძღვრებისთვის. ჭაბუკაურის ტაძრის მსგავსი, ასევე

მართკუთხა პასტოფორიუმები დადასტურებულია IV ს-ის არაერთ ტაძარში როგორც ბიზანტიის, ასევე წინა აზიისა და აფრიკის ტერიტორიაზე. ტაძრის ნაოსის ცენტრში, იატაკის ქვეშ მოთავსებული ქვაყუთის ტიპის მოზრდილი სამარხის აკლდამაც ამ ტაძარს ჩრდ.-დას. სირიის ბაზილიკათა არქიტექტურასთან და ლიტურგიკულ ტრადიციასთან აახლოებს. რაც შეეხება ბაზილიკაში მოპოვებულ ნივთიერ მასალას, ღარიანი და ბრტყელი კრამიტები დაკბილული და თეთრად მოხატული ანტეფიქსებითა და თიხის ჭურჭელი, ზოგადი ნიშნებით, ასევე IV–V სს-ებით თარიღდება. განსაკუთრებით საყურადღებოა საკურთხევლის გათხრისას აღმოჩენილი ბრინჯაოს ლამპადები, მინის კანდელები, ასევე ნაოსის სვეტებს შორის აღმოჩენილი ქრისტიანული ეკლესიის გეგმურ მოდელზე მდგარი ბრინჯაოს ჭრაქი, რომელთაც პარალელები ეძებნებათ IV–V სს-ების რომაულ-ბიზანტიური სამყაროს სხვადასხვა რეგიონში. ნაოსის სამხრეთ სვეტების რიგთან გამოვლენილი ექვს და ოთხლულიანი ბრინჯაოს ლამპრები (ჭაღები) რომაულ სამყაროში I–III საუკუნეებში იყო გავრცელებული, IV ს-ში კი იშვიათადღა გვხვდება. შესაბამისად, მათი დათარიღება IV–V სს-თა მიჯნაზე უფრო გვიანი ხანით შეუძლებელია. ყველაფერი ზემოთ თქმულიდან დგინდება, რომ ჭაბუკაურის დიდი ბაზილიკა IV ს-ის მეორე ნახევარში უნდა აგებულიყო და მალევე, V საუკუნის 20-იან წლებში, მეტად ძლიერი მიწისძვრისგან დანგრეულიყო. ამის საფუძველზე, ავტორები სწორედ ჭაბუკაურის ამ სამნავიან ბაზილიკას მიიჩნევენ მეფე თრდატის აშენებულ ეკლესიად. ამ ბაზილიკის პარალელურად უნდა ეფუნქციონირა მიმდებარე სამლოცველოს (№2). რაც შეეხება ჭაბუკაურის მეორე, მომცრო ეკლესიას (№3), რომელიც ზედ ბაზილიკის ნანგრევზეა მიშენებული, მონოგრაფიის ავტორთა თანახმად, ის დიდი ბაზილიკის დანგრევის შემდეგ უნდა აეშენებინათ და VII ს-ის მეორე ნახევარში უნდა შეეწყვიტა ფუნქციონირება.

ნაშრომის მესამე თავი ეძღვნება დოლოჭოპის სატაძრო კომპლექსს. ის 2004 წელს, ყვარლის შემოგარენში, მდ. დურუჯის მარჯვენა მხარეს, ხშირი ტყითა და ეკალ-ბარდებით დაფარულ ტერიტორიაზე იქნა მიკვლეული. აღნიშნულ ტერიტორიას მკვლევრები ნაქალაქარ ნეკრესის უკიდურეს დასავლეთ უბნად მიიჩნევენ. აქ აქტიური არქეოლოგიური კვლევები 2012 წელს დაიწყო და 2019 წლამდე მიმდინარეობდა. აღმოჩნდა, რომ დანგრეული და უფუნქციოდ დარჩენილი სამნავიანი ბაზილიკის ტერიტორიაზე (ინტერიერში), ადრეული და განვითარებული შუა საუკუნეების მიჯნიდან მოყოლებული, მიმდებარე დასახლებული სოფლის მაცხოვრებლებს სამაროვანი მოუწყვიათ. თავად ბაზილიკა გრანდიოზულია თავისი სიდიდით. ამ მხრივ, მას

პრეცედენტი არ აქვს არათუ საქართველოში, არამედ მთელ სამხრეთ კავკასიაში – მისი მხოლოდ ცენტრალური დარბაზის სიგრძე-სიგანეა 36 მ X 18.5 მ, ხოლო ტაძრის სრული პერიმეტრის გარე ზომებია 44 მ X 28 მ. დარბაზი ხუთი წყვილი ჯვრისებრი გეგმის სვეტების ორი რიგით სამ ნავად ყოფილა დაყოფილი. ტაძარი და სვეტები ნაგებია ფლეთილი ქვით, ხოლო თაღების გამოსაყვანად და სვეტების კაპიტელებად შირიმის ნათალი ქვებია გამოყენებული. ცენტრალური ნავის აღმოსავლეთით ნალისებური გეგმური მოხაზულობის საკურთხევლის აფსიდი ყოფილა მოწყობილი. საკურთხეველს ირგვლივ ქვის წყობით გამოყვანილი ოთხსაფეხურიანი სინთრონონი შემოუყვება, რომლის ცენტრშიც სამეუფო ტახტია (ე.წ. მაღალდასაჯდომელი) გამართული. საკურთხევლის ამბიონი დასავლეთისკენ, ცენტრალური ნავის პირველ წყვილ სვეტამდე მართკუთხა „ავანსცენისებურად“ არის მოწყობილი, რაც გვიანანტიკურ-ადრებიზანტიური სამყაროს ცენტრალური პროვინციების მნიშვნელოვან ბაზილიკებს ახასიათებთ. საკურთხევლის იატაკქვეშა სივრცეში აღმოჩნდა ტაძრის მშენებლობის თანადროული, 15 კვ/მ ფართობიანი კრიპტა, რომლის ცენტრალურ ნაწილში იატაკზე დაშენებული ყოფილა ხის ძელებით ნაშენი და კირით შებათქაშებული რელიქვარიუმი. მსგავსი საკურთხევლისქვეშა კრიპტები ჩვეულებრივი მოვლენაა გვიანანტიკური და ადრებიზანტიური ხანის ტაძრებში, მაგრამ საქართველოში ეს მსგავსი კონსტრუქციის გამოვლენის პირველი შემთხვევაა. საკურთხევლის ორთავე მხარეს, გვერდითი ნავების გაგრძელებაზე, მოწყობილი ყოფილა სწორკუთხა გეგმის პასტოფორიუმები. ცენტრალურ დარბაზს ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან მთელ სიგრძეზე გაუყვებოდა გალერეების სისტემა. ტაძარს (ისევე როგორც ჭაბუკაურის ბაზილიკას) ხის კონსტრუქციებზე დაყრდნობილი კრამიტის სახურავი ჰქონდა.

ნიშანდობლივია, რომ დოლოჭოპის ბაზილიკის მთელი რიგი გეგმურ-კონსტრუქციული ელემენტები: მრავალსაფეხურიანი სინთრონონი, ავანსცენისებური ამბიონი, გადახურვის ხის კონსტრუქციები, წითლად შეღებილი ინტერიერი, ფერადად მოხატული დაკბილული ანტეფიქსები და სხვ., V–VI საუკუნეების ჩვენთვის აქამდე ცნობილ ქართულ ძეგლებში არ გვხვდება. სამაგიეროდ, ის კარგად შეესაბამება IV–V სს-ების ბიზანტიის აღმოსავლეთში გავრცელებული ბაზილიკების ტიპს. აქედან, დოლოჭოპის ბაზილიკის აგებაც ამავე ხანებში არის სავარაუდებელი. ტაძრის სამხრეთ გალერეაში გამართული სამარხების ინვენტარიც ამ დათარიღებას უჭერს მხარს. კერძოდ, ვერცხლის საყურე მოოქროვილი საკიდით, ვერცხლის ჭვინტიანი მშვილდსაკინძი და სხვა სამარხეული ინვენტარი

V და V–VI სს-ების მიჯნით თარიღდება. ამავე თარიღზე მიანიშნებს ნეშტიდან აღებული ძვლოვანი ნიმუშის რადიოკარბონული ანალიზიც. შესაბამისად, ავტორთა დასკვნით, დოლოჭოპის დიდი ბაზილიკა IV–V სს-თა მიჯნაზე, ყველაზე გვიან კი V ს-ის პირველ ათწლეულებში უნდა აგებულიყო და მას VI საუკუნის შუა ხანებამდე უნდა ეფუნქციონირა. ამას მხარს უჭერს ასევე ტაძრის იატაკის ზედაპირზე გამოვლენილი V ს-ის სხვადასხვა დანიშნულების თიხის ჭურჭლის (დოქები, ქოთნები) და პოლიკანდელონების ფრაგმენტები. სრულიად დამარწმუნებელია ავტორთა განმარტება, რომ ჭაბუკაურის ტაძრის დანგრევის შემდეგ, ქედის მეორე მხარეს, დურუჯის პირას დოლოჭოპის ბაზილიკის მშენებლობა ნაკარნახევი უნდა ყოფილიყო ნეკრესის პოლიტიკურ-ეკონომიკური ცენტრის დურუჯისკენ გადაწევა, ჩრდ. კავკასიის ხალხებზე ქართლის სამეფოს ზეგავლენის გაძლიერების მიზნით. დამანგრეველი მიწისძვრის შემდეგ, სამონასტრო კომპლექსში სარეკონსტრუქციო სამუშაოები ჩატარდა, მაგრამ აღდგენილი ეკლესიაც VIII საუკუნისთვის გამოსულა მწყობრიდან, სავარაუდოდ, არაბთა შემოსევების შედეგად.

დოლოჭოპის ბაზილიკის კვლევა ამით არ დამთავრებულა. 2015–2016 წლებში გათხრების დროს გამოირკვა, რომ ეს გრანდიოზული ტაძარი კიდევ უფრო ადრეული, 25 მ X 15 მ ზომის ქრისტიანული ბაზილიკის ნანგრევებზე ყოფილა აღმართული. მკვლევართა აზრით, ეს არის ე.წ. „სამეკლესიიანი ბაზილიკის“ ჯერჯერობით უადრესი ნიმუში საქართველოში. ტაძრის ცენტრალური დარბაზის საკურთხეველი მართკუთხა გეგმარებისაა და მის ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან კვადრატული ფორმის პასტოფორიუმები აქვს მოწყობილი. იატაკზე აღმოჩენილი თიხის ჭურჭლის ფრაგმენტებს მკვლევრები III–IV და IV–V სს-ებით ათარიღებენ. საბოლოო დასკვნით, ეს ეკლესია IV ს-ს მიწურულს მიწისძვრის შედეგად უნდა დანგრეულიყო და IV–V სს-ების მიჯნაზე მისი ნანგრევების მოსწორების შედეგად შექმნილ პლატფორმაზე ახალი, გრანდიოზული ბაზილიკა უნდა აეგოთ.

მონოგრაფიის ბოლო, მეოთხე თავი ქართული ქრისტიანული ტაძრების ხუროთმოძღვრული სტილის შესახებ დისკუსიას ეძღვნება. ამ თავში ავტორები ერთგვარად, თეორიული თვალსაზრისით აჯამებენ იმ ცოდნას, რომელიც მათ ნეკრესის ნაქალაქარის ქრისტიანული ტაძრების გათხრის შედეგად მიიღეს. ისინი მიმოიხილავენ რომის იმპერიის ტერიტორიაზე და მის გარეთ, ახლად გაქრისტიანებული ქვეყნების ადრექრისტიანული ტაძრების არქიტექტურას, რომელთა მაგალითზეც კარგად ჩანს, რომ ყველგან, მათ შორის მეზობელ სომხეთსა თუ სასანურ ირანში, ქრისტიანული სატაძრო არქიტექტურა

უკვე ყოვლად კანონიკური ფორმით შედის და მკვიდრდება: „ამრიგად, მეცნიერულად სრულად დამტკიცებულ ფაქტად უნდა ჩაითვალოს, რომ გვიანრომაულ-ადრებიზანტიური ქრისტიანული კულტურის გავლენის სფეროში მოქცეულ პრაქტიკულად ყველა ქვეყანაში, მეტროპოლიაში ამ მოძღვრების ოფიციალურ სარწმუნოებად აღიარების შემდეგ (IV ს-ის I ნახ.) 1–2 საუკუნის განმავლობაში, უკვე მასობრივად გავრცელდა დაახლოებით ერთი და იმავე სქემის, მაგრამ მეტ-ნაკლები ოსტატობით და შემოქმედებითი სახესხვაობით ნაგები ბაზილიკური ტიპის ტაძრები“ – ასკვნიან ავტორები. ცხადია, აქ ქართლის სამეფო გამონაკლისი ვერ იქნებოდა.

ამ მიმოხილვის ბოლოს, მინდა, გამოვთქვა ჩემი რამდენიმე მოკრძალებული აზრი იმ საკითხებზე, რომლებმაც გარკვეული უკმარისობისა თუ ეჭვის გრძნობა დამიტოვა და ვისურვებდი ამ საკითხებში მეტი სინათლის შეტანას.[1]

1. პირველი ეხება ჭაბუკაურის ბაზილიკის ფიქალით მოგებული იატაკის ქვეშ აღმოჩენილი წინარე ნაგებობის ნაშთებს, რომელიც თითქოსდა წარმართული ტაძარი უნდა ყოფილიყო. ნაშრომში ნათლად არ ჩანს, გეგმარების კონკრეტულად რა ელემენტებით არის ის მიჩნეული წარმართულ ტაძრად, მით უმეტეს, რომ არავითარი ნივთიერი მასალა ამის თქმის საფუძველს არ იძლევა. წიგნის ავტორები ეყრდნობიან ერთადერთ არგუმენტს, რომ როგორც ქართულ, ასევე უცხოურ წყაროებში ხშირად მოთხრობილია წარმართული ტაძრის დანგრევისა და მათ ადგილას ქრისტიანული ტაძრის მშენებლობის ამბები. მაგრამ ეს ძალიან სუსტი არგუმენტია რამდენიმე მიზეზის გამო. ჯერ ერთი, თავად ავტორები ვერ უარყოფენ ამ წინარე ნაგებობის ბუნებრივად დანგრევის შესაძლებლობას, თუმცა უფრო მოსალოდნელად მიაჩნიათ მისი შეგნებულად დანგრევა, რისი კვალიც რეალურად არ არსებობს. მეორეც, ეს პოპულარული „ტრადიციული“ შეხედულება, წარმართული ტაძრების ტოტალურად ნგრევისა და მათ ადგილას ქრისტიანული ტაძრების მშენებლობის შესახებ, უკანასკნელმა კვლევებმა ეჭვის ქვეშ დააყენეს. ყოველ შემთხვევაში, გვიანანტიკურ ხანაში ქრისტიანობისა და წარმართობის დაპირისპირების შესახებ დღევანდელი ცოდნის ფონზე ამ შეხედულების ასე უპირობოდ მიღება გამართლებული არ არის (იხ. *Feyo L. Schuddeboom. The*

1 აქ ჩვენ განგებ არ ვეხებით ჭაბუკაურის ბაზილიკაში და მის შორიახლოს მდებარე მარნის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ძვ. ქართული დამწერლობის ნიმუშებს, რადგან ეს არ არის მონოგრაფიის კვლევის ძირითადი საგანი და მასზე თავად ავტორებიც ძალიან ფრთხილ და ბუნდოვან ვარაუდებს გამოთქვამენ.

Conversion of Temples in Rome. Journal of Late Antiquity, Volume 10, Number 1, Spring 2017, გვ. 166–186).

2. დამაჯერებელი არაა ვარაუდი, რომ ჭაბუკაურის №2 ეკლესია ბაპტისტერიუმი იყო. ამ უხერხულობას თავად ავტორებიც გრძნობენ, როცა აღნიშნავენ, რომ მასში არ არის მოწყობილი სანათლავი აუზი. აქედან გამომდინარე, უშვებენ, რომ შესაძლოა, აქ ინათლებოდნენ ფეხზე მდგომი ადამიანები, მაგრამ ამ ტაძრის არსებობის ხანაში ფეხზე მდგომი ადამიანის თავზე სხურებით მონათვლის წესის არსებობა უცხოა (თუ ასეთი შემთხვევები მათთვის ცნობილია, სასურველი იყო სათანადო წყაროს მითითება). სხურებით ნათლობა დაიშვებოდა მხოლოდ ისეთ გამონაკლის შემთხვევაში, როგორიცაა ფიზიკური უძლურება, მაგრამ ეს თავისთავად გამორიცხავს როგორც ნათლობის წესის შესრულების დროს ფეხზე დგომას, ისე – ამ გამონაკლისი შემთხვევებისთვის სპეციალური ბაპტისტერიუმის მშენებლობის შესაძლებლობას. ვფიქრობ, ამ ეკლესიის დანიშნულების გასარკვევად გასაგრძელებელია კვლევა.
3. ასევე, ვფიქრობ, მეტ დასაბუთებას მოითხოვს დოლოჭოპის ბაზილიკის ნართექსის (ავტორები მათ „ფსევდონართექსს“ უწოდებენ) ეპისკოპოსის სასახლის სამეურნეო ნაწილად მიჩნევაც. ის, რომ მასში აღმოჩენილია კერა და ქვევრები, არ ეწინააღმდეგება ქრისტიანული ლიტურგიკის ისტორიას. ნართექსები, ეკვდერები და გალერეები ხშირად გამოიყენებოდა წირვის შემდგომი ტრაპეზის გასამართად, ე.წ. აღაპებისთვის. არცთუ იშვიათად, ბიზანტიაში სტოას ასევე „ტრაპეზს“ უწოდებდენ რაც ბერძნულად (გარდა მაგიდისა და საკურთხევლის წმინდა ტრაპეზისა) სადილს, პურობას ნიშნავს. დოლოჭოპის ბაზილიკის ფუნქციონირების დროს აღაპების ტრადიცია ჯერ კიდევ ცოცხალი იყო, თუმცა საქართველოში ეს ტრადიცია მთლიანად არც გამქრალა. ამის ნიშნები უმეტესწილად შემორჩა ხალხურ ქრისტიანობაში, მაგრამ სვანეთში დღესაც, ხშირად ტაძრის მთავარ შესასვლელთან (მაგ. უშგულის ლამარია, ლახუშდის თანღილი) მოწყობილია სტოა, რომელსაც „ლამაარალ“ ან „ლამაარ“ ჰქვია, რაც სამზად ადგილს, სამზარეულოს ნიშნავს (ლიმარალ = მზადება, ლიმარე = გამზადება, ცხობა). ამ სტოებში ხშირად ინთება ცეცხლი და მზადდება საჭმელი; ხოლო უშგულის ლამარიას სტოაში, ბოლო დრომდე ინახებოდა დღესასწაულებზე ხარის მოსახარში სპილენძის დიდი ქვაბი „ლელღენ“ (2016 წლის 28 აგვისტოს სამღვდელოებამ ლელღენ-ი სტოადან გამოიტანა და იქ სამწირველო ეკვდერი მოაწყო. ქვაბი იმდენად დიდი იყო, რომ კარში არ ეტეოდა და მისი ნაწილობრივი დაზიანება

გახდა საჭირო, რაც იმას ნიშნავს, რომ სტოას მოწყობის დროს, სრულიად გამიზნულად, ჯერ ლელღენ-ი დადგეს უშუალოდ ეკლესიის კედელთან და შემდეგ მას შემოაშენეს სტოას კედლები). ჩემი აზრით, დოლოჭოპის ნართექსიც ამ დანიშნულების უნდა ყოფილიყო. ის, თუ რატომ არის აცდენილი ნართექსისა და ბაზილიკის დარბაზის დასავლეთი კედლის სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი ერთმანეთს 3˚-ით, ვფიქრობ გამოწვეულია ეკლესიის მშენებლობაზე ორი სამშენებლო ჯგუფის მუშაობით. თავად მონოგრაფიის ავტორებიც აღნიშნავენ, რომ ნართექსი ბაზილიკაზე ადრეულია და ბაზილიკა მიუდგამთ მასზე იმგვარად, რომ მისი გრძივი ღერძი აღმოსავლეთზე ზუსტად ყოფილიყო ორიენტირებული. თუ დავაკვრიდებით აეროფოტოს (სურ. 42), ვნახავთ, რომ ნართექსის უკიდურესი სამხრეთი კედელი ბაზილიკის სამხრეთი კედლის გასწვრივ კიდევ რამდენიმე მეტრი გრძელდება და შემდეგ არის შეწყვეტილი, რაც, ჩემი აზრით, იმაზე მიანიშნებს, რომ მშენებელთა ერთმა ჯგუფმა დაიწყო ბაზილიკის მშენებლობა, მაგრამ უცნობი მიზეზების გამო (არასაკმარისი კვალიფიკაცია?) შეწყვიტა მუშაობა. რის შემდეგაც მშენებელთა მეორე ჯგუფმა ოდნავ შეცვალა აღმოსავლეთზე ორიენტაციის გრადუსი, რაც შესაძლოა იმას დავუკავშიროთ, რომ ამ ჯგუფმა აღმოსავლეთის მიმართულება მზის მეშვეობით განსაზღვრა წელიწადის სხვა დროს (და, შესაძლოა, უფრო ზუსტადაც), ვიდრე პირველმა. არ არის გამორიცხული, რომ მშენებელთა ახალმა ჯგუფმა, გარკვეული თვალსაზრისით, თვით ტაძრის გეგმარებაც კი შეცვალა, მშენებლობის ტექნიკასთან ერთად. აკი ავტორები თავადაც შენიშნავენ, რომ ნართექსისა და ბაზილიკის შემკვრელი დუღაბის ხარისხი მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისგან – ნართექსი გაცილებით სუსტი შემკვრელობის კირხსნარითაა აშენებული.

4. ნართექსის სამხრეთ ოთახში აღმოჩენილი მსხლისებრი მოყვანილობის თიხის დოქზე ასომთავრულით ამოკაწრულ სახელთან დაკავშირებით ავტორები წერენ, რომ მისი მესამე ასო-ნიშნის წაკითხვაში მკვლევრები (არ არის დაზუსტებული მათი ვინაობა) ვერ თანხმდებიან, ეს არის „ჰანი“ თუ „სანი“. აქედან, უშვებენ, რომ ეს სახელი შეიძლება იყოს ან „მიქაილ“, ან „მიჰაილ“, ან „მისაილ“. უცნაურობა ისაა, რომ დოქზე სრულიად აშკარად იკითხება „მისაელ“ (მე-5 ასო ნიშანი არის „ენ“ და არა „ინ“). ვერავითარ შემთხვევაში ვერ გვექნება „მიქაილ“, რადგან „ქან“ აშკარად არ იკითხება. ვერ იქნება ვერც „მიჰაილ“, რადგან, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ქართულში ამგვარი ფორმა არ არის დადასტურებული. გარდა ამისა, ბერძნული χ ქართულად

გადმოვიდოდა ან ქ-დ, ან ხ-დ, მაგრამ არა ჰ-დ. რჩება „მისაელ", რაც, როგორც ვთქვი, სრულიად თვალნათლად იკითხება. მისაელ საკმაოდ პოპულარული ბიბლიური წმინდანია, ანანიასთან და აზარიასთან ერთად (დან. 1:3–8). თანამედროვე საეკლესიო კალენდარში მათი ხსენება 17 დეკემბერსაა დადებული – „სამთა ყრმათა: ანანიასი, აზარიასი და მისაელისა", მაგრამ ძველი ქართული კალენდრებით (იერუსალიმის ლექციონარი, იოანე-ზოსიმეს კალენდარი, გიორგი მთაწმიდელის სვინაქსარი) მათი ხსენება წელიწადში რამდენჯერმე აღინიშნებოდა.

დაბოლოს, ვფიქრობ, ნეკრესის ნაქალაქარზე საქართველოს ადრექრისტიანული ხანის არქიტექტურის ნიმუშების არქეოლოგიური შესწავლითა და მათი სკრუპულოზური ინტერდისციპლინარული ანალიზით მონოგრაფიის ავტორებმა უდიდესი სამსახური გაუწიეს ქართულ მეცნიერებას. ქართული სატაძრო არქიტექტურის გენეზისის კვლევაში წინ დიდი ნაბიჯი გადაიდგა. ამ წიგნით საბოლოოდ ნათელი მოეფინა ბევრ საკითხს, რაზედაც ოთხი ათეული წლის განმავლობაში მიმდინარეობდა ცხარე თეორიული დისკუსია. ეს კამათი შესაძლოა, უსასრულოდ გაგრძელებულიყო, ან არაფრით დამთავრებულიყო, რომ არა ეს წიგნი. მაგრამ, ვიმედოვნებ, რომ ეს წერტილი არ არის, არამედ ახლის დასაწყისია.

ნიკო ნიკოლოზიშვილი
ისტორიის დოქტორი, დამოუკიდებელი მკვლევარი

საქართველოს დამფუძნებელი კრების სტენოგრაფიული ანგარიშები

საქართველოს დამფუძნებელ კრებას გამორჩეული ადგილი უკავია ქართული პარლამენტარიზმის ისტორიაში. კრება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო იყო, რომელიც თავისუფალი საქართველოს მოქალაქეებმა დემოკრატიული გზით აირჩიეს 1919 წლის თებერვალში.

130 დეპუტატისაგან შემდგარ, საერთო-სახალხო ნებით შექმნილ ამ წარმომადგენლობით საკრებულოს საქართველოს მოსახლეობის პოლიტიკური მისწრაფება და სასიცოცხლო ინტერესები უნდა გამოეხატა.

კრებაში აბსოლუტური უმრავლესობა – 109 წევრი – სოციალ-დემოკრატიული პარტიის სიით იყო არჩეული. მათ გარდა, დეპუტატები გახდნენ კიდევ სამი პოლიტიკური ძალის თვალსაჩინო წარმომად-

აბსტრაქტები
ABSTRACTS

Nodar Bakhtadze, Vazha Mamiashvili, Bachana Gabekhadze, Jimsher Chkhvimiani. The Early Christian Churches of the Ancient City of Nekresi. Tbilisi: 2020, 216 pp. (in Georgian)

The remains of the ancient city of Nekresi, located in Kvareli municipality, are well known from ancient Georgian historical ("Conversion of Kartli", "The Life of Kartli", "The Life of Vakhtang Gorgasali") and hagiographic sources ("The Martyrdom of Abibos of Nekresi", "The Life of Shio and Evagre"), as well as from other historical documents.

According to Georgian sources, the city of Nekresi was built by King Pharnajom in the 2nd century BC. Its walls were restored at the end of the 3rd century AD by Mirvanoz, the foster father of the first Christian king, Mirian, and in the late 4th century, the first church was built there by King Trdat, Mirian's grandson. In the 5th–6th centuries, the city was an arena of confrontation between Kartli and Persia and, consequently, Christianity and Mazdeanism. City life in Nekresi ceased during the era of Tamerlane, but the episcopal center and the monastery of Nekresi continued to function there.

In the 1980s, an expedition of the S. Janashia Georgian State Museum began conducting archeological excavations on the territory of the city, led by Academician L. Chilashvili. From 2004, the expedition was led by Prof. N. Bakhtadze. The authors of this monograph are also members of this same expedition.

The book consists of an introduction and four chapters. At the end there are attached tables and their descriptions, a bibliography, and a geographical and personal names' index. The introduction reviews the historical sources related to Nekresi, and the history of the archeological research of the city, while the purpose of the monograph is also set out.

In Georgian art history, from the early 20th century, the notion was established that in the early Christian era, from the 4th century to the end of the 5th and begining of the 6th century AD, miniature churches resembling basilicas were built in Georgia, constructed by local masters based on oral descriptions.

According to the author of this theory (G. Chubinashvili), throughout the first two centuries of Christianity, the population of the Kingdom of Kartli was so afraid and distrustful of the new religion that only clergy entered the church during the mass, while the parishioners stood outside the building and barely took practical part in the liturgy. Therefore, the need to build large and spacious churches did not exist within that period of time. According to the author of the theory and his followers, this view was corroborated by (along with several others) one of the small chapels standing in the Nekresi Monastery. This issue has been a subject of heated debates since the 1980s. A number of scholars (Z. Kiknadze, T. Mirzashvili, B. Mchedlishvili) did not share this view, and, based on Georgian historical sources and mainly on the general history of early Christian Church architecture, argued that it was impossible for the Christian architecture of Kartli not to be closely connected right from the start to the Roman Empire and their newly developed canons of church architecture. The main purpose of the book by N. Bakhtadze and his co-authors was to discuss the early Christian churches of the city of Nekresi, their architecture, and the materials obtained from archeological research, which practically confirms the general reasoning above.

The first chapter of the monograph is dedicated to the archeological-architectural study of a small memorial chapel of an unusual structure (which was recognized as a " model" of G. Chubinashvili's theory) located on the territory of Nekresi Monastery. In 2009, a fully fledged archaeological research led by N. Bakhtadze confirmed that the chapel was built ontop a crypt and was of a later period than the crypt itself. The inventory of persons buried in burial chambers (mainly ceramic materials and clothing accessories) dates back to the 6th–7th centuries. Accordingly, the chapel built on it is either of this time, or later. Therefore, it could not be considered as a church built by King Trdat in the 4th century, and this building was to be looked for directly in one of the districts of the city of Nekresi.

The second chapter discusses the Chabukauri church complex, which was unearthed by the Nekresi Archaeological Expedition in 1998–2006 and 2015–2019 in the central part of the city. The complex consists of a three-nave basilica-type church, an annexed church (N3) and a nearby chapel (N2). On the floor level a fragment of the capitals of a four-legged Holy Table was found, the like of which is well-known from the Byzantine churches of the 4th–5th centuries. Further, the tiled roof on the wooden structure of the naves of the basilica is nurtured by the tradition characteristic for the basilicas of the Roman-Byzantine world of the 4th–5th centuries. Until now, it was considered that wooden structures were not used at all for roofing the ancient basilicas built in Georgia, and they were covered with limestone vaults and tiles placed

on them. The Chabukauri Basilica was the first church in Georgia to have a rectangular altar plan. This also indicates that it is an analogy of churches built in the 4th–5th century in northwest Syria and the Holy Land (more rarely in Mesopotamia and Egypt). Like the Chabukauri church, numerous churches with rectangular pastophoriums have been confirmed in 4th century Byzantium, as well as on the territory of Asia Minor and Africa. In the center of the naos, a large stone-box-type burial vault placed under the floor also brings this church closer to the architectural and liturgical tradition of northwestern Syria. As for the artefacts obtained in the basilica, the ridged and flat tiles with notched and white-painted antefixes, and pottery, are also dated to the 4th–5th centuries based on their general markings. Of particular note are the bronze chandeliers, glass altar lamps, as well as bronze lamps found during the excavation of the altar, the parallels of which can be found in different regions of the Roman-Byzantine world of the 4th–5th centuries. From all the information above, it was determined that the great basilica of Chabukauri as likely built in the late 4th century and soon after, in the 420s, it was destroyed by a very strong earthquake. Based on this, the authors consider this particular three-nave basilica of Chabukauri to be a church built by King Trdat.

The third chapter of the book is dedicated to the Dolochopi basilica complex. It was spotted in 2004 near Kvareli, on the right bank of the Duruji River, in an area covered with dense forest and undergrowth. Researchers consider this area to be the farthest western district of the city of Nekresi. Active archaeological work began on this location in 2012, and continued until 2019. The basilica alone is monumental in size. In this respect, it has no precedent not only in Georgia, but in the whole South Caucasus – the length and width of its central hall alone is 36 m. x 18.5 m., while the measurements of the complete outer perimeter of the basilica are 44 m. x 28 m. The hall was divided into three naves by two rows of five pairs of cross-plan columns. To the east of the central nave, the apse of the altar, with a sloping plan, was laid out. The altar is surrounded by a four-stepped synthronon made of stone, in the center of which is the high throne of the bishop. The ambo of the altar, which goes westward up to the first pair of columns of the central nave, is arranged in the form of a rectangular "proscenium", which characterizes important basilicas of the central provinces of the late Antiquity – early Byzantine world. In the basement of the altar, a 15 sq/m crypt was found that was contemporary to the construction of the basilica. Similar altar crypts are common in late Antiquity and early Byzantine churches, but this is the first time such a structure has been uncovered in Georgia.

A number of planning and construction elements make up the Dolochopi Basilica: such multi-step synthronon, an ambo in the shape of a proscenium,

a wooden roof structure, red-painted interior, color-painted notched antefixes, etc., cannot found in the 5th–6th centuries Georgian monuments that are known to us. On the other hand, it fits well with the type of basilica found in eastern Byzantium in the 4th–5th centuries. Hence, it can be presumed that the construction of the basilica of Dolochopi took place in this period of time. The inventory of tombs in the south gallery of the church also supports this dating. In particular, a silver earring with a gilded hanger, a silver bow type fibulae and other burial inventory dates back to the 5th and the beginning of 6th centuries AD. Radiocarbon analysis of a bone sample taken from the remains also indicates the same date. Hence, according to the authors, the large basilica of Dolochopi must have been built at the end of the 4th century, or in the first decades of the 5th century, and it functioned until the middle of the 6th century. Reconstruction work was carried out on the monastery complex after the devastating earthquake, but the restored church had fallen into disrepair by the 8th century, presumably as a result of Arab invasions.

The study of the Dolochopi Basilica does not end here. Excavations in 2015–2016 revealed that this grandiose church was erected on the ruins of an even earlier, 25 m. x 15 m Christian basilica. According to researchers, this is the earliest example of a so-called "three church basilica" in Georgia. The sanctuary of the central hall of the basilica has a rectangular plan and has square-shaped pastophoriums to its north and south. Fragments of pottery found on the floor were dated by researchers to the 3rd–4th and 4th–5th centuries. Taking everything into account, this church was likely destroyed by an earthquake at the end of the 4th century, and a new, more splendid, basilica was built at the end of the 4th-begining of the 5th centuries on the platform created by evening out the ruins.

The last, fourth, chapter of the monograph is dedicated to a discussion about the architectural style of early Georgian churches. In this chapter, the authors summarize, in a theoretical sense, the knowledge they have gained as a result of excavating churches in the city of Nekresi. They review the architecture of churches of the newly Christianized countries within the territory of the Roman Empire and beyond, examples of which clearly show that everywhere, including in neighboring Armenia and Sasanian Iran, Christian church architecture was already canonically established and settled: "Thus, it should be considered a proven fact that basilica-type churches, of an approximately analogical planning design, but more or less different in craftsmanship and creative variety, became widespread in virtually all countries, metropolises that were under the influence of late Roman/early Byzantine Christian culture, during the first two centuries after the recognition of these teachings as an of-

ficial religion (1st half of the 4th century)". – the authors conclude. Clearly, the Kingdom of Kartli would not be an exception here.

I believe the authors of the monograph did a great service to Georgian science by studying archaeologically and making a scrupulous interdisciplinary analysis of examples of Georgian early Christian period architecture in the city of Nekresi. A great step forward has been made in the study of the genesis of Georgian church architecture. This book finally sheds light on many issues that have been part of a heated debate at the theoretical level for the past four decades. This discussion might have gone on indefinitely, or ended with nothing, if not for this book. It is my hope that this will not prove to be a full stop, however, but instead the beginning of a new period of research.

Dr. Niko Nikolozishvili
Independent Researcher

Verbatim Records of the Constituent Assembly of Georgia

The Constituent Assembly, as the highest legislative body of the country, left an indelible mark on the history of the Democratic Republic of Georgia.

The Assembly, with its rich and fruitful activities, provided excellent experience, which, along with educational value, today has a particularly practical purpose.

The review considers the transcripts of the Constituent Assembly of Georgia, which were published by the National Parliamentary Library of Georgia named after Ilia Chavchavadze in 8 volumes in 2019–2020, under the title: "Constituent Assembly of Georgia. Protocols of the Meeting".

This important matter was chaired by the Editorial Board made up of Irakli Iakobashvili, Mzia Khositashvili and Emzar Jgerenaia.

The publication was dedicated to the 100th anniversary of the founding of the Constituent Assembly of Georgia. This is a documentary chronicle of the legacy of the legislators of the Democratic Republic of Georgia.

Prof. Otar Janelidze
Gori State Teaching University